ევროკავშირი
საქართველოსთვის

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ნარჩენების ეფექტური მართვისთვის

ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგის ანგარიში

(ადიგენის მუნიციპალიტეტი)

ადიგენი
2022-2023

„ნარჩენების ეფექტური მართვისთვის“
ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგის ანგარიში

ეს პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი'' და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

სარჩევი

ინფორმაცია პროექტის შესახებ	4
შესავალი	5
მონიტორინგის მეთოდოლოგია	5
ზოგადი ინფორმაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის შესახებ	6
ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მოკლე მიმოხილვა, არსებული სიტუაციის ანალიზი	6
კვლევის შედეგები	7
პრიორიტეტი #1: მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურეობის მიწოდება მოსახლეობისთვის, კომერციული ობიექტების და არსებული საწარმოებისათვის მთელს ტერიტორიაზე, ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოვება, მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობის მოცვის მიზნით.	8
მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოყენებული სისტემები	9
პრიორიტეტი #2: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა–რემედიაცია 2023 წლისთვის	12
მუნიციპალური/არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი	14
ადიგენის მუნიციპალიტეტის სამშენებლო და ინერტული მასალების ლეგალური პოლიგონი	14
პრიორიტეტი #3: ადიგენის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის	15
ნარჩენების მართვის თანხის ამოღების მაჩვენებელი, დასუფთავების მოსაკრებლისა და ამოღების რაოდენობა 2018–2022 წლებში	16
პრიორიტეტი #4: ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების, სეპარირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტში, გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმალიზაციის მიზნით	17
პრიორიტეტი #5: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე	18
მნიშვნელოვანი მიგნებები და დასკვნები	19
რეკომენდაციები	21
გამოყენებული ლიტერატურა	23

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი: „ნარჩენების ეფექტური მართვისთვის“

სამიზნე არეალი: ადიგენის მუნიციპალიტეტი

პროექტის მიზანი: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოს დაცვითი კომპონენტით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად და ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით ადიგენის მუნიციპალიტეტში შემუშავებული ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგის განხორციელება, ადვოკატირების კამპანიები, ცნობიერების ამაღლება, საგანმანათლებლო ღონისძიებები.

პროექტის ამოცანები: მუნიციპალური ნარჩენების მართვის შესრულების ხუთწლიანი (2018-2022წწ.) სამოქმედო გეგმისა და მისი სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრული ამოცანების სისტემის მონიტორინგი, დაბა ადიგენში, აბასთუმანსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ნარჩენების კონტეინერული შეგროვების სერვისის მონიტორინგი; კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების ან/და საჭიროებების ადვოკატირების კამპანიები ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფების ჩართულობითა და საინფორმაციო – საგანმანათლებლო ღონისძიებებით.

პროექტის ფარგლებში პროექტის მართვის ჯგუფისა და მოწვეული კონსულტანტის ჩართულობით განხორციელდა ადიგენის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შესრულების მონიტორინგი 2021–22 წლების მდგომარეობით, მომზადდა კვლევის ანგარიში და რეკომენდაციები.

განხორციელდა ადვოკატირების კამპანიები, ჩატარდა საინფორმაციო – საგანმანათლებლო საქმიანობები:

„ეკო მოხალისეთა“ ჯგუფი - მუნიციპალიტეტის სკოლებისა და სტუდენტების ჩართულობით ჩამოყალიბდა ეკო მოხალისეების ჯგუფი 15 მონაწილით. ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთვნენ საგანმანათლებლო და ადვოკატირების კამპანიებში;

დასუფთავების აქცია - ახალგაზრდების ინიციატივით ჩატარდა დასუფთავების აქციები ადიგენის ტერიტორიაზე და მდინარე ოცხეს ნაპირებზე;

ტრენიგები - ადიგენის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურისა და სოფლების რწმუნებულებისათვის;

თვალსაჩინოების მასალები - მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები, პოსტერები, მომზადდა და დამონტაჟდა მუნიციპალიტეტის ტურისტული დანიშნულების ადგილებში საინფორმაციო გამაფრთხილებელი ნიშნები, ტრაფარეტები. მოეწყო მრგვალი მაგიდა დისკუსია მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში;

საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან - მონიტორინგის ჯგუფისა და ეკო მოხალისეების ჩართულობით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობასთან. მოსახლეობას მიეწოდა ბუკლეტები და საინფორმაციო მასალა;

სატელევიზიო სიუჟეტი - გავრცელდა ადგილობრივი ტელეკომპანიების ეთერში და გაზიარდა სოციალურ ქსელებში.

ჩატარდა პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია, სადაც პროექტის მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარდგენილი იქნა ადიგენის მუნიციპალიტეტის საზოგადოების წინაშე პროექტის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობების შედეგები და მონიტორინგის ანგარიში რეკომენდაციებით.

შესავალი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის მთელი რიგი დირექტივების, მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად. ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს მდგრადი განვითარების პრინციპებზე და მიზნებზე დამყარებული ნარჩენების მართვის სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის მოთხოვნებთან. დეკლარირებულია, რომ საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა. ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობისათვის საჭიროა ნარჩენების მართვის შესახებ განათლებისა და ინფორმირების ერთიანი სისტემის შექმნა, რომლის რეალიზებაში ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული პირი, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი. სწორედ ასოცირების ხელშეკრულების და ქვეყნის ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, ჩამოყალიბდა და დამტკიცებულ იქნა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მოიცავდა 2018-22 წლებს. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების ხანგრძლივობა განსაზღვრულია ხუთწლიანი პერიოდით და უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

მონიტორინგის მიზანი: ჩატარებული კვლევა მოიცავს ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და სისტემის შეფასებას, ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადების ეტაპებს.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდი - 2021–2022 წლები.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში მონიტორინგის ჯგუფი გაეცნო ნარჩენების მართვის სფეროში არსებულ ზოგად ლიტერატურას, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კვლევების შედეგებს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2021 წლებში გამოცემულ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც უკავშირდება მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიან გეგმას. მონიტორინგის საწყის ეტაპზე გარდა ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიან გეგმისა, ჯგუფი დეტალურად გაეცნო მის ყოველწლიურ გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშებს, ნარჩენების მართვის ყოველწლიური გეგმების შესრულების შედეგებს. ჩაწერილი იქნა ინტერვიუები მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ადიგენის "კეთილმოწყობისა და დასუფთავების" სამსახურის დირექტორის, დარგობრივი უწყებების, მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებთან.

შესწავლილი იქნა მუნიციპალიტეტში სტიქიური და ლეგალური ნაგავსაყრელების მდგომარეობა, მოეწყო საველე გასვლები, გადაღებული იქნა ფოტო-მასალა, შეჯერდა 2018–2022 წლების

ინფორმაციები მუნიციპალიტეტში სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობის, მათი ეტაპობრივი რემედიაციისა და აღმოფხვრის დინამიკის შესახებ.

შესწავლილი იქნა გადასახადების ამოღების დინამიკა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან 2018–2022 წლებში.

შესწავლილი იქნა ნარჩენების გატანის გრაფიკები და კონტეინერების რაოდენობისა და განთავსების არეალები, მომზადდა მეტი თვალსაჩინოებისათვის ცხრილები და გრაფიკები.

განხორციელდა მოპოვებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი, მომზადდა მონიტორინგის ანგარიში, შემუშავდა რეკომენდაციები.

ზოგადი ინფორმაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის შესახებ

- ფართობი: 80000 ჰა.
- დასახლებული პუნქტი: 57
- დაბა: 2
- მოსახლეობა: 16462
- დაბაში მაცხოვრებელთა რაოდენობა: 1720
- სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა: 14742
- საკურორტო დასახლებებში მაცხოვრებელთა რაოდენობა: 937
- წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა: 2000

ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მოკლე მიმოხილვა, არსებული სიტუაციის ანალიზი

ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა დამტკიცებული იქნა საკრებულოს მიერ 2017 წლის 22 დეკემბერს 47/10 განკარგულებით. საკრებულოს მიერ შეტანილი იქნა დამატებები და ცვლილებები მუნიციპალური ნარჩენების 5 წლიან მართვის გეგმაში 2018 წლის 6 ნოემბრის 30/10 განკარგულებით.

2022 წლის მონაცემებით ნარჩენების მართვის სერვისით ისარგებლა მთლიანად ადიგენის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 14082 ადამიანმა, ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85%.

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2018–2022 წლების ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის ძირითადი პრიორიტეტები:

1. ***მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურეობის მიწოდება მოსახლეობისთვის, კომერციული ობიექტების და არსებული საწარმოებისათვის მთელს ტერიტორიაზე; ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოვება, მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობის მოცვის მიზნით;***

2. *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა – რემედიაცია 2022 წლისთვის;*
3. *ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანოების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო გავრცელება მუნიციპალიტეტში); გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმალიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არსებულ სისტემასთან;*
4. *ადიგენის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;*
5. *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;*
6. *მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე.*

მონიტორინგის ჯგუფი შეეცადა ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგი ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით წარემართა და მოეძია ინფორმაციები მათი შესრულების შესახებ 2021–2022 წლების მდგომარეობით.

კვლევის შედეგები



სანამ უშუალოდ პრიორიტეტების მიმოხილვას დავიწყებთ, საინტერესო იქნება იმ ფინანსური რესურსების მიმოხილვა, რომელიც იხარჯება ყოველწლიურად ადიგენის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვაზე.

მონიტორინგის ჯგუფმა მოიპოვა 2018-2022 წლების ყოველწლიური ბიუჯეტის მონაცემები, რომელიც იხარჯება ნარჩენების მართვის განხორციელებაზე დაგეგმილი საქმიანობებისათვის. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი სახსრების რაოდენობების დინამიკა 2018–2022 წლებში მოცემულია მოყვანილ დიაგრამაზე.

როგორც ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემაჯამებელ ანგარიშშია აღნიშნული 2018-2022 წლების მაჩვენებლებით მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯი ხუთი წლის მანძილზე გაზრდილია 282770 ლარით. აღნიშნულ ხარჯი გარდა ნარჩენების მართვის საოპერაციო საქმიანობებისა, ნარჩენების შეგროვებასა და გატანასთან დაკავშირებულ პერსონალის სახელფასო

ანაზღაურებას, აღჭურვილობისა და ტრანსპორტის მოვლა-შენახვასაც გულისხმობს. როგორც ცხრილიდან ჩანს, ნარჩენების მართვის ფინანსური რესურსების დინამიკა საკმაოდ პოზიტიურია, მზარდია, თუმცა იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც მუნიციპალიტეტს ნარჩენების მართვის სფეროში ჯერ კიდევ გააჩნია, რა თქმა უნდა არასაკმარისია და საჭიროებს უფრო მეტი ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსის მობილიზებას.

პრიორიტეტების შესრულებას და მათ შედეგებს კი ქვემოთ წარმოვადგენთ უფრო დეტალურად.

პრიორიტეტი N1: მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურეობის მიწოდება მოსახლეობისთვის, კომერციული ობიექტების და არსებული საწარმოებისათვის მთელს ტერიტორიაზე, ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოება, რათა მოიცვას მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქნილი ნარჩენების შეგროვებასა და გატანას 2015 წლიდან უზრუნველყოფს ადიგენის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „დასუფთავების სამსახური“, ხოლო 2021 წლიდან ა(ა)იპ ადიგენის მუნიციპალიტეტის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“. მისი საქმიანობა ითვალისწინებს არა მარტო ნარჩენების მართვას, არამედ დამატებით გარე განათებას, გზების დასუფთავება-მოწესრიგებას და მუნიციპალიტეტის ტექნიკური სფეროს თანამშრომელთა შიდა ტრანსპორტირებას.

ჩატარებული მოკვლევა გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მუნიციპალიტეტში წარმოადგენს არასაკმარისი ან/და მოძველებული ნაგავმზიდი ტექნიკა.

2018 წელს, დასუფთავების სამსახურის განკარგულებაში იყო 2 თვითმცლელი ნაგავმზიდი, რომელიც 2017 წელს არის შეძენილი, აღნიშნული ტექნიკა 5 წლის შემდეგაც ისევ ემსახურება მუნიციპალიტეტს და 2022 წლამდე არაფერი შემატებია. ამასთანავე არის პოზიტიური მოლოდინებიც. როგორც კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი გვამცნობს „2023 წელს არსებულ ნაგავმზიდ ტექნიკას დაემატება ერთი თვითმცლელი ახალი ავტომანქანა, რომელიც დონორის – იაპონიის საელჩოს დაფინანსებით იქნება შეძენილი. ახალი ნაგავმზიდი მოემსახურება მოსახლეობის უფრო მეტ რაოდენობას”.

ადიგენის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს გააჩნია საქმიანი ეზო, სამრეცხაო, სპეცტექნიკის პარკირების ადგილი, ბოქსები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში არის შესაძლებლობა ადგილობრივ დონეზე განხორციელდეს არსებული ტექნიკის შეკეთება. ნაგავმზიდი ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურეობაზე მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად აცხადებს ტენდერს და ტრანსპორტის სერიოზული დაზიანების შემთხვევაში მომსახურეობა ხდება ამ ტენდერების ფარგლებში.

კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, 2022 წლის განმავლობაში, ნაგავმზიდი ტექნიკის კაპიტალურ შეკეთების მომსახურებაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა – 19830 ლარი, საბურავების შესყიდვაზე 5670 ლარი. სულ, ტექნიკური მომსახურეობის ხარჯი მოიცავს 25500 ლარს.

ადიგენის დასუფთავების სამსახურის სპეცტექნიკას ემსახურება 2 მძღოლი და 8 მუშა–ოპერატორი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის“ საქმიანობები ითვალისწინებს:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის (ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების) დაგვა-დასუფთავებას;

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების დაგვა-დასუფთავებას;
- ზამთრის სეზონზე ქუჩებისა და ტროტუარების თოვლის საფარისგან გაწმენდას;
- მოქმედი კანონდებლობით მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით და წესდებით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელებას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით;
- ა(ა)იპ ადიგენის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური უზრუნველყოფს ნარჩენების შეგროვებას და ტრანპორტირებას კონტეინერებიდან ნაგავსაყრელამდე.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოყენებული სისტემები

ა. კონტეინერული: კონტეინერები ნარჩენების შესაგროვებლად, როგორც დაბაში, ისე კურორტ აბასთუმანში განლაგებულია საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს, ხოლო სოფლებში უფრო მეტად გზებზე და ყველასათვის მისაწვდომ ადგილას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:

- კონტეინერები 550 ცალი 1,1 $მ^3$ მოცულობის
- თვითმცლელი ნაგავმზიდი ორი ავტომობილი.

კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურს ემსახურება:

2022 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით: 43 მეეზოვე, 19 დამლაგებელი, 26 მუშა;

2023 წლის, 1 იანვრიდან 15 დამლაგებელი, 49 მეეზოვე და 24 მუშა. ამ კონტინგენტს ემატება 120 სოციალურად დაუცველი ოჯახების სტატუსის მქონე ადამიანი (საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური სამინისტოს 17 თებერვლის დადგენილების თანახმად, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახების წევრები მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით და შერჩევით ძირითადად საქმდებიან კეთილმოწყობისა და დასუფთავების საქმიანობებზე. აქ დასაქმებულ სოციალურად დაუცველი მოქალაქეს სახელმწიფო ბიუჯეტი უხდის თვიურ ხელფასს 300 ლარს. (მათი სამუშაო დღის ოდენობა განსაზღვრულია დღიურად მაქსიმუმ 5 საათით.)

2022 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით ადიგენის მუნიციპალიტეტში ამჟამად კონტეინერები განლაგებულია 43 ლოკაციაზე (იხილეთ ცხრილი).

კონტეინერების ადგილმდებარეობა	რაოდენობა (1,1$მ^{3)}$	ლიტრი (1000)
დაბა ადიგენი	110	110000 ლ.
სოფ. უდე	40	40000 ლ.
სოფ. არალი	40	40000 ლ.
წარბასთუმანი	6	6000 ლ.

ბენარა	6	6000 ლ.
შოლავერი	5	5000 ლ.
უნწა	3	3000 ლ.
ქვემო ენთელი	10	10000 ლ.
ბოლაჯური	15	15000 ლ.
პატარა სმადა	5	5000 ლ.
დიდი სმადა	10	10000 ლ.
ჩორჩანი	10	10000 ლ.
დიდი ზანავი	8	8000 ლ.
პატარა ზანავი	8	8000 ლ.
წრე	5	5000 ლ.
გომარო	8	8000 ლ.
ჭულევი	2	2000 ლ.
გორგული	5	5000 ლ.
იმერთუბანი	5	5000 ლ.
იჯარეთი	5	5000 ლ.
სოფ. ადიგენი	8	8000 ლ.
მლაშე	5	5000 ლ.
ფლატე	8	8000 ლ.
ფლატის წყალი	2	2000 ლ.
ზარზმა, ძინძე	8	8000 ლ.
დაბა აბასთუმანი	115	115000 ლ.
ვარხანი	8	8000 ლ.
ფარეხა	5	5000 ლ.
საღრძე	3	3000 ლ.
ხევაშენი	10	10000 ლ.
წახანი, ხარჯამი	5	5000 ლ.
ლელოვანი, ამხერი	5	5000 ლ.
კახარეთი	5	5000 ლ.
ფხერო	5	5000 ლ.
ზემო ენთელი	8	8000 ლ.
ჭეჭლა	5	5000 ლ.
საირმე	5	5000 ლ.
მოხე	12	12000 ლ.
ჭერბაში საქეიფო	1	1000 ლ.
სოფელი აბასთუმანი	10	10000 ლ.
შოყა	6	6000 ლ.
ნამინაური	5	5000 ლ.
ჯამი	550	550000 ლ.

თუ შევადარებთ ზემოთ მოცემულ მონაცემებს კარგად ჩანს, რომ კონტეინერების რაოდენობა და მათი განთავსების ლოკაციები ბევრად მზარდია. კერძოდ, 2018 წლის მონაცემებით, დასუფთავების სამსახური მუნიციპალიტეტის მხოლოდ 22 ლოკაციას ემსახურებოდა განთავსებული 236 კონტეინერით, დანარჩენი სოფლები კი ცუდი ინფრასტრუქტურისა და მიუდგომელი რელიეფიდან გამოდინარე არ ღებულობდა ასეთ მომსახურეობას. ამჟამად, მუნიციპალიტეტს ემსახურება უკვე 1.1 კუბური მეტრის (1000 ლიტრი) თავსებადობის 550 კონტეინერი. კონტეინერების შეძენა ხორციელდება ყოველწლიურად, თუმცა სამსახურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბევრად ეფექტური იქნებოდა გრძელვადიანი მოხმარების უფრო მაღალი ხარისხის კონტეინერების შეძენა.

ბ. ზარის სისტემა. კონტეინერული მომსახურეობის გარეშე ჯერ კიდევ დარჩენილია რამდენიმე სოფელი, რომლებიც ვერ ღებულობს ნარჩენების გატანის სრულ მომსახურეობას. ეს სოფლებია: დერცელი, კიკიბო და კეხოვანი, აფიეთი, ღორთუბანი და ზედუბანი. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო, ნაგავმზიდ მანქანებს უჭირთ გადაადგილება ამ სოფლების გზებზე.

რაც შეეხება კონტეინერების დაცლის პროცესს, ის, მიმდინარეობს შემდეგი გრაფიკით: დღეში ერთხელ კონტეინერი იცლება დაბა ადიგენში და კურორტ აბასთუმანში, ყოველ მეორე დღეს დანარჩენ სოფლებში. ასევე მუშაობს ზარის სისტემაც (კონტეინერის შევსების შემდეგ ხდება დასუფთავების სამსახურის ცხელ ხაზზე დარეკვა და ინფორმაციის მიწოდება).

ცალკე უნდა გავამახვილოთ ყურადღება კურორტ აბასთუმნის მომსახურეობაზე. ამჟამად, კურორტ აბასთუმანს ემსახურება სულ 45 კონტეინერი, ადამიანური რესურსით კი –1 ზედამხედველი და 11 მეეზოვე. როგორც ინტერვიუერები აღნიშნავენ, კურორტი აბასთუმანი ყველაზე მეტად დატვირთულია წლის აპრილი – სექტემბრის თვეებში, რადგან ძალიან ბევრი ადგილობრივი, თუ უცხოელი მოქალაქე ისვენებს და ამის გამო აქ განთავსებული ურნების რაოდენობა არასაკმარისია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე „ზარის სისტემა“ ბევრად ეფექტურად მუშაობს სწორედ კურორტ აბასთუმანში, იმიტომ რომ მომსახურეობის არსებული გრაფიკი ვერ ასწრებს ნარჩენის გამოტანას. ხშირია შემთხვევები, როცა გადავსებულ ურნებს დღეში სამჯერაც ცლიან. დასუფთავების სამსახურის დირექტორის განმარტებით (ინტერვიუ 25.05.2022წ) „საკურორტო სეზონზე ხდება დამატებითი ნაგავმზიდების ახალციხიდან მობილიზება, რადგან არსებული სპეცმანქანების რაოდენობა არასაკმარისია.

შედეგები:

სამიზნე მუნიციპალიტეტში ნარჩენების მიწოდებისა და გატანის მომსახურების პრიორიტეტის მიმართულებით კვლევამ აჩვენა რომ დაბა ადიგენში 2022 წლისთვის მოსახლეობის მომსახურეობა ხდება 100%-ით, კურორტ აბასთუმანში 43%, ხოლო დანარჩენ 55 ადმინისტრაციულ ერთეულში 70%. აღნიშნული მონაცემები ასახავს მომსახურების გამჯობესების დინამიკას, თუმცა ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სერვისების მიწოდება. ზემოთ ხაზგასმული ხარვეზი ძირითადად დაკავშირებულია კონტეინერების ნაკლებობასთან და არაოპერატიულ სატრანსპორტო მომსახურებასთან, რაც კარგად ჩანს კურორტ აბასთუმნის მაგალითზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლის მოსახლეობისთვის სერვისის მიწოდების პროცესი ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით 2020 წლისთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა როგორც ჩანს, ამ მხრივ პრობლემები ისევ რჩება.

კვლევამ აჩვენა აგრეთვე, რომ ჯერ კიდევ არ არის მომზადებული შესაბამისი სამსახურების მიერ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურეობის ამსახველი რუკები, მარშრუტებისა და კონტეინერების მდებარეობის აღნიშვნით. ეს აქტივობა, როგორც გასული ხუთწლიანი გეგმის შეუსრულებელი მუხლი, განმეორებით ასახულია 2023–27 წლების ნარჩენების მართვის ახალ გეგმაში.

კონტეინერების შესყიდვის და მათი რაოდენობის ყოველწლიური ზრდა, მათ შორის ეფექტური, ხარისხიანი და მობილური კონტეინერების დამატება, უფრო გაუადვილებდა ნაგავმზიდებს მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევას.

პრიორიტეტი N2: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა – რემედიაცია 2023 წლისთვის

ცენტრიდან დიდ მანძილზე დაშორებული მცირე ზომის დასახლებებში ნარჩენების მართვა არა მარტო სამიზნე მუნიციპალიტეტში, არამედ რეგიონში მთლიანად გართულებულია. ეს ძირითადად უკავშირდება გადაზიდვის მანძილს, მისასვლელი გზების მდგომარეობას, ბუნებრივ და მეტეოროლოგიურ პირობებს, ფინანსური სახსრების ნაკლებობას და სხვა. ხშირ შემთხვევებში მცირე ზომის დასახლებებში არ არსებობს ნარჩენების შესაგროვებელი ურნები და შესაბამისად, ან/ ვერ ხერხდება მუნიციპალიტეტების მიერ ნარჩენების შეგროვება ან ხდება ძალზე დიდი ინტერვალით. ეს კი იწვევს სოფლად გენერირებული ნარჩენების მოხვედრას ე.წ. „სტიქიურ ნაგავსაყრელებზე“, უფრო მეტად მდინარის კალაპოტებსა და ხევებში, რომლებიც ტექნიკისათვის მიუწვდომელია და მოქმედებს წლების განმავლობაში.

ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის დროს 2018 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტში აღრიცხული იყო სულ 25 სტიქიური ნაგავსაყრელი, ძირითადად სოფლებში: უდე, კახარეთი, სოფ.ადიგენი, დიდი სმადა, უნწა, არალი, იმერთუბანი და სხვ. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტიქიური ნაგავსაყრელით გამოირჩეოდა სოფელი ბოლაჯური, სადაც არსებობდა 3 სტიქიური ნაგავსაყრელი. 2021 წლის მონაცემებით 25 სტიქიური ნაგავსაყრელიდან დარჩა 7 ლოკაცია – 5100 კვადრატული მეტრის ფართობით, მათ შორის: სოფელ უდის (1000კვ.მ), უნწას (500კვ.მ), არალის (1800კვ.მ), იმერთუბნის (500კვ.მ). 2022 წლისთვის სტიქიური ნაგავსაყრელის ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა და დარჩა 2200 კვ. მ. ადიგენის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, „ამ სოფლებში ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა და ამის გამო ლოკაციები მიუდგომელია სპეცმანქანებისათვის“. (ინტერვიუ 18/01/2022) ბოლო ორი წლის განმავლობაში, გზების გაყვანამ სოფლებიდან ნარჩენების გამოტანას და სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირებას შეუწყო ხელი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა:

- ადიგენის მუნიციპალიტეტს ჯერ კიდევ არ აქვს საკმარისი ტექნიკური აღჭურვილობა და ადამიანური რესურსი, ამის გამო, ნარჩენების გატანა ხდება მხოლოდ იმ ადგილებიდან, რომლებიც პრიორიტეტულად მიიჩნევა;
- ცენტრიდან მოშორებული სოფლების ნაწილი კვლავაც ვერ სარგებლობს დასუფთავების მომსახურებით, რის გამოც მოსახლეობა ნარჩენებს ყრის მდინარეებსა და ხევებში, ჩნდება არაკონტროლირებადი/სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც იწვევენ გარემოს დაბინძურებას, ეკოლოგიურ პრობლემებს (მაგალითად,სასმელი წყლის დაბინძურება, შინაური ცხოველების დასნეულება), რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას;

- ჯერ კიდევ არ ხდება მუნიციპალიტეტში არსებული სტიქიური ნარჩენების განთავსების ადგილების ზუსტი აღრიცხვა და არ არსებობს მათი დახურვისა და რემედიაციის დროში გაწერილი გეგმა.

მუნიციპალური/არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი

ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხორციელდება ოფიციალურად რეგისტრირებულ ნაგავსაყრელზე ახალციხეში. აღნიშნულ ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსება დაიწყო 2017 წლიდან. მანამდე მუნიციპალური ნაგავსაყრელი არსებობდა დაბა ადიგენის ტერიტორიაზე. 2015–16 წლებში მოხდა ამ ნაგავსაყრელის დახურვა-რემედიაცია. ამ პერიოდიდან მთლიანად ადიგენის მუნიციპალური ნარჩენი ხვდება ახალციხის ნარჩენების პოლიგონზე. ახალციხის ნაგავსაყრელის ტერიტორიის ფართობი შედგენს 5 ჰ.ა.–ს. 2018–19 წლებში ტერიტორიაზე განხორციელდა გარკვეული კეთილმოწყობის სამუშაოები, დასუფთავდა მთლიანად არეალი, შემოიღობა, რამაც განაპირობა ცხოველების ნაგავსაყრელზე მოხვედრის პრევენცია. ამჟამად ოპერატორის მიერ ყოველდღიურად მიმდინარეობს შემოსული ნარჩენების რაოდენობის აღრიცხვა-ანგარიშგება, გარემოსდაცვითი პარამეტრების მონიტორინგი. ნაგავსაყრელის მართვას ახორციელებს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, რომელიც ექვემდებარება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. ახალციხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების პოლიგონს ემსახურება ექვსი დამლაგებელი, ერთი მძღოლი და ოთხი ოპერატორი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უკანასკნელ წლებში მუნიციპალური ნაგავსაყრელის მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებისა, კვლევა ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტებში მოქმედი ნაგავსაყრელების უმრავლესობა არ შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს და ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო დირექტივებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. როგორც საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის წამომადგენლები ადასტურებენ, 2023 წლისათვის გათვალისწინებულია, რომ სამცხე–ჯავახეთის ტერიტორიაზე დაიწყოს ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით ნარჩენების ახალი პოლიგონის მშენებლობა. ახალ, რეგიონულ ნაგავსაყრელზე განთავსდე ახალციხის, ასპინძის, ადიგენის და სხვა მუნიციპლიტეტების ნარჩენები.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სამშენებლო და ინერტული მასალების ლეგალური პოლიგონი

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებობს სამშენებლო და ინერტული მასალების პოლიგონიც, რომელის ამჟამად განთავსებულია სოფელ ბენარის მიმდებარედ, ყოფილი „ემტეეს“-ის (ყოფილი მანქანა ტრაქტორთა სადგომი) ტერიტორიაზე. მისი ფართობია 1300 კვ.მ. მუნიციპალიტეტში ამჟამად მიმდინარეობს დიდი ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროცესები გოდერძის უღელტეხილზე, ბაღდადის, აბასთუმნის, საირმის

გადასასვლელებზე და ზოგადად კურორტის ტერიტორიაზე და ყველანაირი სამშენებლო ნარჩენის შემოტანა ხდება სწორედ ამ პოლიგონზე. მას კურირებს ტენდერში მოგებული ორგანიზაცია „ჯეო გრუპი“. აღნიშნულ პოლიგონზე ხდება სამშენებლო მასალების დაგროვება, რემედიაცია, საჭირო ნარჩენის მეორადი მნიშვნელობით (ნაპირების გამაგრების, ჯებირებისა და სხვა სახის საქმიანობებისათვის გადარჩევა). პოლიგონს ემსახურება ავტოთვითმცლელები, მუშები და ოპერატორები. როგორც ინტერვიუს დროს „ჯეო გრუპის“ წარმომადგენელი აღნიშნავს, აღნიშნული პოლიგონი არის დროებითი და დიდი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხდება ამ პოლიგონის საბოლოო რემედიაცია.

პრიორიტეტი N3: ადიგენის მუნიციპალიტეტში როგორც მოსახლეობიდან ისე მის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ნარჩენების ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისათვის.

მოცემული პრიორიტეტის მიხედვით შევისწავლეთ ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსაკრებლები, მათი ამოღების წესი და მაჩვენებლები.

ადიგენის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მოსაკრებელის რაოდენობა განსაზღვრულია ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #18 დადგენილებით. 2015 წლის 7 აპრილს დადგენილებაში სხვადასხვა დროს შეტანილი იქნა ცვლილებები: 2015 წლის 20 აპრილის #20, 2015 წლის 2 ივნისის #28 და 2016 წლის 1 მარტის #9 დადგენილებებით. მოსაკრებლების ტარიფების ცვლილებები მიღებული დადგენილებების შესაბამისად აწესრიგებდა და ახლაც არეგულირებს მოსაკრებლის გაანგარიშებისა და გადახდის წესებს. მოსაკრებლის გადამხდელები ერთი მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირები – ორგანიზაცია/დაწესებულებები და კერძო საწარმოებია და მეორე მხრივ, მოსახლეობა. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ერთ სულ მოსახლეზე გაწერილია 0.50 ლარის ოდენობის მოსაკრებელი თვეში. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, გადამხდელთა მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია 4 სულით. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, ორგანიზაციების და დაწესებულებებისათვის დადგენილია 25 ლარი ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს და მისი სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლებია, იგი თავისუფლდება დასუფთავების მოსაკრებლისაგან. მოსაკრებლის ადმინისტრირება ეკისრება ადიგენის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილ იურიდიულ პირს, ან პირთა ჯგუფს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2018 – 2022 წლებში არსებულ მოსაკრებლის დინამიკას. სულ 5 წლის განმავლობაში, ანუ 2018–22 წლებში დასუფთავების მოსაკრებელი როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე გაწერილი იყო 386718 ლარი და ამოღებულ იქნა 142771,94 ლარი.

დასუფთავების მოსაკრებლისა ამოღების რაოდენობა 2018–22 წლები

წელი	მოსაკრებლის გაწერილი რაოდენობა	მოსაკრებლის ამოღებული რაოდენობა
2018	69558	27671,94
2019	76524	27685,45
2020	76458	17818,92
2021	80778	27404,17
2022	83400	39505,46
სულ:	386 718	142771,94

ვინაიდან მონიტორინგის კვლევის კონკრეტული პერიოდი 2021–22 წლებს მოიცავს, უფრო დეტალურად იქნა შესწავლილი ეს მონაცემები მოსაკრებელის პროცენტული რაოდენობის მიხედვითაც როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან. (იხ. ცხრილი)

2021 წ. მოსაკრებლის საერთო რაოდენობა – **27404,17** ლარი			პროცენტული მაჩვენებელი
2021 წ.	ფიზიკური პირები	4200	15%
2021 წ.	იურიდიული პირები	23684	85%

2022 წ. მოსაკრებლის საერთო რაოდენობა – **39505, 46** ლარი			
2022	ფიზიკური პირები	8068	47%
2022	იურიდიული პირები	20437	53%

კვლევა გვიჩვენებს, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მოსაკრებლის გადასახადის მაჩვენებელი 2021 წელს ფიზიკური პირებიდან მხოლოდ 15% წარმოადგენდა, 2022 წელს კი გაიზარდა 47%-მდე. საინტერესო დინამიკა ჩანს იურიდიული პირებთან მიმართებაში: 2021 წელს იურიდიული პირების მიერ გადახდის მაჩვენებელი იყო 85%, ხოლო 2022 წელს 53%. როგორც დასუფთავების სამსახურისა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ინტერვიუში აღნიშნავენ, ფიზიკური პირებიდან გადასახადის ამოღების მაჩვენებელი შესამჩნევად გაიზარდა მერიის ზედამხედველობის და დასუფთავების სამსახურების მიერ გატარებული ეფექტური ღონისძიებების შედეგად. რაც შეეხება იურიდიული პირების მოსაკრებელს, ეს ფაქტორი პირველ რიგში დაკავშირებულია იურიდიული პირების რაოდენობების შემცირებასთან. მაგ.: თუ 2021 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 256 იურიდიული პირი, 2022 წელს უკვე რეგისტრირებულია 195 მდე იურიდული პირი, ხოლო ხელშეკრულება დასუფთავების სამსახურს აქვს გაფორმებული, 2022 წლის მდგომარეობით, მხოლოდ 123 იურიდიულ პირთან. ლოგიკურია, იურიდიული პირების რაოდენობის შემცირება შესაბამისად გადასახადის ამოღების მაჩვენებელსაც შეამცირებდა. რაც შეეხება ფიზიკური პირების მოსაკრებლის გადახდის მაჩვენებლის ზრდას, იგი გამოწვეულია სოფლებში გზებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან და ახალი კონტეინერების დამატებასთან. შესაბამისად ფიზიკურ პირთა მომსახურეობა და გადასახადის ამოღებაც გაიზარდა. გადასახადების პროცენტულად ყველაზე

მეტი წილი მოდის დაბა ადიგენსა და კურორტ აბასთუმანზე.

შედეგები:

ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანების მიხედვით, 2020 წლისთვის შემუშავებული და დანერგილი უნდა ყოფილიყო მოსაკრებლების ამოღების უფრო მოქნილი და სრულყოფილი სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი საგრძნობლად გაუმჯობესებულია, ნარჩენების მართვის ახალი 2023–2027 წლების გეგმის მიხედვით, ერთერთ მთავარ პრიორიტეტად კვლავ რჩება ნარჩენების მართვის მოსაკრებლის ხარჯების სრულად ამოღების უფრო მოქნილი და განახლებული სისტემის შემუშავება და დანერგვა.

პრიორიტეტი N4. ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება, კომპოსტირებისა და სეპარირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტში, გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმალიზაციის მიზნით

კვლევამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად ნარჩენების მართვის 2018–2022 წლების გეგმის შესრულების ვადის დასრულებისა, გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმალიზაციისათვის მუნიციპალიტეტში ისევ არ არის გადადგმული ეფექტური ნაბიჯები. არ არსებობს მუნიციპალიტეტში მონაცემები წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით, ჯერ არ შექმნილა მონაცემთა ელექტრონული ბაზები. (არ არსებობს ინფორმაცია აგრეთვე სახიფათო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენების შესახებ). ჯერ კიდევ არ ხდება ნარჩენების მორფოლოგიური კვლევა, რომელიც ნარჩენების ეფექტური მართვის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდს წარმოაგენს. 2021-2022 წლებში ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული ადიგენის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულება, როგორიცაა ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს უნდა დაეწყოთ სეპარირების ღონისძიებები, რაც ასახული იყო ნარჩენების მართვის გეგმაშიც, თუმცა რაიმე ქმედითი ღონისძიებები ჯერჯერობით ვერ განხორციელდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტს ჰქონდა მცდელობა ძალიან მცირე მოცულობით დაეწყო ქაღალდის (მაკულატურის) სეპარირება აბასთუმანში, თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობით, არანაირი სხვა საქმიანობა სეპარირების მიზნით არ ხორციელდება.

ასევე ძალიან საჭირო კომპონენტი ნარჩენების რაოდენობის შემცირების მიზნით, არის ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის. ძალიან კარგი იქნებოდა თუნდაც ინდივიდუალური კომპოსტირების დანერგვა საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებში, რაც დიდად შეუწყობდა ხელს ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების მოცულობის შემცირებას და შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბიოდეგრადირებადი ნარჩენი, როგორც წესი, მუნიციპალური ნარჩენების დაახლოებით 50%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018–2022 წლების გეგმა საერთოდ არ ითვალისწინებდა მწვანე ნარჩენების კომპოსტირების მეთოდოლოგიის დანერგვას, ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებები უდაოდ ხელს შეუწყობდა კომპოსტირების

პოპულარიზაციასა და ინდივიდუალური კომპოსტირების დანერგვის საპილოტე მოდელის შემუშავებას. დროული იქნებოდა ადიგენის მუნიციპალიტეტში მერიის სამსახურების მხარდაჭერით უკვე დაწყებულიყო ნარჩენების სეპარაციის პროცესის ხელშეწყობა და წახალისება, შესაბამისი ხარჯ-სარგებლის გათვალისწინებით.

პრიორიტეტი N5: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე

მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული გამოწვევაა მოსახლეობის დაბალი ცნობიერების დონე, უფრო მეტად გარემოს გამიზნულად დანაგვიანებისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების წვის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების მართვის ხუთწლიან გეგმაში ამ საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დასუფთავების სამსახურების წლიური ანგარიშებში ნაჩვენებია მათ მიერ ჩატარებული გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით მხოლოდ რამდენიმე სოფელში ჩატარებული საინფორმაციო კამპანია. ხუთი წლის განმავლობაში არ იქნა მომზადებული საინფორმაციო მასალა, რომელიც მიეწოდებოდა მოსახლეობას, სკოლებს და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ეს აქტივობები უფრო წარმატებით ხორციელდება არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერით. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების ჩართულობას ძირითადად უზრუნველყოფს სკოლებში მიმდინარე გარემოსდაცვითი ღონისძიებები და ეკოკლუბები, რომელიც განათლების სამნისტროსა და სამოქალაქო განათლების პროგრამებითაა გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტის მხრიდან, კი ცნობიერების ამაღლება მხოლოდ დასუფთავების სეზონური ღონისძიებებით გამოიხატება. საერთოდ არ აქვს მოსახლეობას ინფორმაცია მაგ. კომპოსტის მეთოდოლოგიისა და მისი სარგებლობის შესახებ, ნაკლებად ინფორმირებულია და დაბალია სოფლების მოსახლეობის ინფორმირებულობა ფოთლების წვისა და გარემოს დაბინძურების შემთხვევაში ჯარიმებისა და მათი მოქმედების სისტემების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვისა და გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვა მოსახლეობასთან თანამშრომლობით. მართალია ხუთწლიან გეგმაში აღნიშნულია, რომ მომზადებული გეგმის დამტკიცებისათვის დანიშნულ სხდომაზე იქნა მოწვეული მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, პედაგოგები, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი, მაგრამ ფართო მოსახლეობაში გეგმის განხილვას არ ქონია ადგილი. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ მერიას ჯერ კიდევ არ აქვს კარგად განვითარებული საყოველთაოდ აპრობირებული ისეთი საკომუნკაციო საშუალებები როგორიცაა ვებ–გვერდი, სოციალური ქსელები და ა.შ.

მნიშვნელოვანი მიგნებები და დასკვნები

ჩატარებული მონიტორინგის შედეგების შემაჯამებელი ანალიზი გვიჩვენებს:

- 2018 წელს ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების შემდეგ, მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა, ნარჩენების მართვის კუთხით შესამჩნევად გაუმჯობესებულია, დაბასა და სოფლებში დამატებით განთავსებულია ნაგვის კონტეინერები, თუმცა მათი რაოდენობა (550 ცალი) არ არის საკმარისი მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რაც ხელს უწყობს სტიქიური ნაგავსაყრელების კვლავ წარმოქმნას. ინტერვიუერების შეფასებით, ამ ეტაპზე კონტეინერული მომსახურეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა დაახლოებით 800 კონტეინერი.
- არსებული სტიქიური ნაგავსაყრელიდან უმეტესი ნაწილი ლიკვიდირებულია და დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლების მიერ დამატებით ხდება სოფლებში, ხევებში, მდინარეებისა და გზების მიმდებარედ არსებული დანაგვიანებული გარემოს გასუფთავება. ამასთანავე, რამდენიმე სოფელი ჯერ ისევ დარჩენილია ნარჩენების გატანის მომსახურეობის გარეშე. ეს გარემოება კი კვლავ წარმოადგენს სტიქიური ნაგავსაყრელის წარმოშობის წინაპირობას;
- ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების მიმართულებით მუნიციპალიტეტში მოქმედი კერძო სექტორი სუსტია;
- მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პრობლემაა სამშენებლო ნარჩენები. მუნიციპალიტეტში არსებობს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოყოფილი სამშენებლო მასალების დროებითი პოლიგონი, რომელსაც ტენდერით შერჩეული კომპანია არეგულირებს, თუმცა საჭიროა ამ ნაგავსაყრელის პერიოდული მონიტორინგი შესაბამისი სამსახურების მხრიდან სახიფათო ნარჩენების მოხვედრის პრევენციის მიზნით;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების შესაგროვებელი ტექნიკა მოძველებულია, ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობა არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის მზარდი ინფრასტრუქტურული მშენებლობებისა და ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე;
- ფართო მასშტაბიანი მუნიციპალური ნარჩენების სეპარაცია ჯერ არ დაწყებულა. მიზანშეწონილია 2023–27 წლების ნარჩენების მართვის გეგმაში უფრო მკაფიოდ უნდა იქნას ასახული ხარჯი სეპარირებული ურნების შეძენა-განთავსებასთან დაკავშირებით;
- მუნიციპალიტეტის ეფექტური ღონისძიებებიდან უნდა აღნიშნოს 130-ზე მეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქის ჩართვა დასუფთავების საქმიანობაში.
- ადიგენის მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული ყოველწლიური ნარჩენების მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმის არსებობა უფრო გაადვილებდა ხუთწლიანი გეგმის შესრულების ინდიკატორების გაზომვას;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ეფექტურად ვერ ახორციელებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტივობებს.

რეკომენდაციები

- ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული შესაბამისი სამსახურების მიერ გაანალიზებული იქნას ნარჩენების მართვის 2018-22 წლებში შეუსრულებული აქტივობების მდგომარეობა, განისაზღვროს მომავალი საქმიანობების განხორციელების ოპტიმალური ვადები, მათ შორის გათვალისწინებული იქნეს ნარჩენების მართვის ახალი ხუთწლიანი (2023-2027 წლები) გეგმის შედგენისას;
- ნარჩენების მართვის ახალი 2022-27 წწ. ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნას დასახული მიზნებისა და ამოცანების სწორი ანალიზი, მიღწეული შედეგებისა და მიღებული გამოცდილების, შეუსრულებელი აქტივობების სწორი შეფასება და ა.შ.;
- მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ნარჩენების კონტეინერების რაოდენობის გაზრდა და მათი ხარისხის გაუმჯობესება;
- ადიგენის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას მიეწოდოს 2023-27 წლების ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული პროგნოზი, თუ როგორ გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა, როგორ მოხდება იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ჯერ კიდევ არსებობს მაღალმთიანი სოფლების მომსახურეობის შემთხვევაში და ა.შ.;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საპატრულო პოლიციისა და რეგიონული გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის ეფექტიანი ჩართულობით გამკაცრდეს არსებული მექანიზმები (ჯარიმები, გაფრთხილება) კანონდამრღვევების წინააღმდეგ;
- დაინერგოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება, მოხდეს პოპულარიზაცია და გავრცელდეს ინდივიდუალური კომპოსტირების მეთოდები სასოფლო თემებში;
- მოხდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ, კეთილმოწყობის სამსახურში დასაქმებული ადამიანების შესაძლებლობებისა და ახალი უნარების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა;
- მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის პროგნოზირების საკითხებს, რეალისტურად შეფასდეს სხვადასხვა წყაროები, გაითვალისწინებული იქნეს მაგალითად მუნიციპალიტეტში მიმდინარე ტურიზმის სფეროს მზარდი განვითარება და ა.შ;
- მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესახებ;
- სასურველია მოსახლეობის, არასამთავრობო სექტორის, მედიისა და სხვა მონაწილე მხარეების აქტიური ჩართულობა 2023–27 წლების ნარჩენების მართვის ახალი ხუთწლიანი გეგმის შემუშავებაში, გახდეს აღნიშნული პროცესი გამჭვირვალე, მოქნილი საინფორმაციო საკომუნიკაციო საშუალებებით.
- ადგილობრივი თვითმართველობების მიერ დაინერგოს მონიტორინგის სისტემა მუნიციპალური გეგმების წარმატებით განხორციელების მიზნით, შესაბამისად, განხორციელდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების პერიოდული მონიტორინგი სასურველია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (სსო-ს, სკოლების, ეკო კლუბების და სხვა წარმომადგენლებით).

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი;
- ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030 წწ.;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სტრატეგია 2014-2024 წწ.;
- ადიგენის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა 2018-2022 წწ.;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა-მომზადებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების მიერ პროექტი "დავიცვათ საქართველოს სისუფთავე" ფარგლებში შვედეთის ხელშეწყობით საქართველოში 2020 წელი;
- სუფთა რეგიონი „გზა ევროპისაკენ“, „სამცხე-ჯავახეთს მედიის განვითარების ცენტრი ევროკავშირისა და საქართველოს სტრატეგიული კვლვებისა და განვითარების ცენტრის“ დაფინანსებით;
- „ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხშირად დასმული კითხვები“ მომზადებულია პროექტის ელექტრონული ნარჩენების მართვის შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა საქართთველოში;
- ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების შეფასება-მწვანე ალტერნატივა ნარჩენების სექტორის მიმოხილვა;
- საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, Tb.2018;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის განვითარების საჭიროებათა ანალიზი –თბ.2020.;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა ანგარიში 2021-2022, მომზადებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების მიერ პროექტი "დავიცვათ საქართველოს სისუფთავე" ფარგლებში, 2022 წელი;
- ფოტოები გადაღებულია მონიტორინგის საველე სამუშაოებისა და შეხვედრების დროს, ავტორები: ცირა მესხიშვილი, თამთა ნაპირელი.